ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N52
(გამარტივებული შესყიდვა)

16.08.2016 წელი

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, ს.ს. „ფრანს ავტო", წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა სეფაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების დადგენის წესის შესახებ" 17.08.2015 წლის #13 ბრძანების მე-3 მუხლის „ე" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ პირდაპირ არ არის მითითება სამუშაო დღეზე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიიღოს შემსყიდველისგან დანართი #1-ით გათვალისწინებული ჩასანაცვლებელი 1 ავტომობილი HYUNDAI SANTAFE და საკუთრებაში გადასცეს შემსყიდველს დანართი #1-ით გათვალისწინებული 1 ცალი ავტომობილი RENAULT DOKKER; თავის მხრივ შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი და მისი ღირებულება გადაიხადოს ჩასანაცვლებელი ავტომობილის გადაცემითა და დარჩენილი ღირებულების ფულადი ანაზღაურების გზით (CPV 34110000).

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს მიუხედავად მხარეთა მიერ მათი ხელმოწერისა;

3.2.1. ჩასანაცვლებელი ავტომობილისა და შესასყიდი ავტომობილის ჩამონათვალი და ფასი (დანართი #1);

3.2.2. შესასყიდი საქონლის ტექნიკური აღწერა (დანართი #2);

3.2.3. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა #003326016 ჩასანაცვლებელ ავტომობილზე (დანართი #3).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ავტომობილების ერთეულის ფასი მოცემულია დანართში.

4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 32 620 (ოცდათორმეტი ათას ექვსას ოცი) ლარს დღგ-ს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით.

4.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგება:

4.3.1. ჩასანაცვლებელი ავტომობილის შეფასებული ჯამური ღირებულებისგან - 8500 (რვა ათას ხუთასი) ლარი, და
4.3.2. მიმწოდებლისთვის ფულადი სახით ასანაზღაურებელი ღირებულებისგან - 24 120 (ოცდაოთხი ათას ას ოცი) ლარი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონელი ითვლება შემსყიდველის მიერ მიღებულად და მიმწოდებლის მიერ გადაცემულად მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რომელიც დგება და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი.
6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.
6.4. ამ მუხლით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების წესები ვრცელდება ასევე ჩასანაცვლებელი ავტომობილების მიმწოდებლისთვის გადაცემისას.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღე;
7.2 საქონლის მიწოდების ადგილი: მიმწოდებლის სავაჭრო ობიექტი.
7.3 ავტომობილების შსს მომსახურების საგენტოში მიმღებზე რეგისტრაციას ახორციელებს:HYUNDAI SANTAFE - შემსყიდველი; RENAULT DOKKER - მიმწოდებელი.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი.
8.2. საქონლის საგარანტიო ვადა განისაზღვრება 5 წლით ან 150000 კმ გარბენით, რომელი პირობაც უფრო ადრე დადგება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
9.3. დაფინანსების წყარო: 2016 წლის საკუთარი შემოსავლები;
9.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან (როგორც ჩასანაცვლებელი ავტომობილების მიწოდება, ასევე ფულადი გადარიცხვა) განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და მის საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ორმხრივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და ეცადოს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ალტერნატიული საშუალებები.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

12.3.1. შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

12.3.2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ის ოდენობით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.

12.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

15. დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32

მიმწოდებელი:
ს.ს. „ფრანს ავტო“
ს/კ: 236098165
მის: ქ. თბილისი, შალიკაშვილის ქ. №7
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE25BG0000000254559400

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

ვაჟა სეფაშვილი
დირექტორი

დანართი N1

შესაძენი ავტომანქანა						
№	ავტომანქანის დასახელება	ძრავის მოცულობა	გამოშვების წელი	ფერი	რაოდენობა	ფასი
1	RENAULT DOKKER	1.5	2016	რუხი	1	**12900** ევროს ექვივალენტი ლარში

ჩასანაცვლებელი ავტომანქანა						
№	ავტომანქანის დასახელება	ძრავის მოცულობა	გამოშვების წელი	ფერი	სახ. ნომერი	ექსპერტიზის მიერ შეფასებული ფასი
1	HYUNDAI SANTAFE	2.2	2008	შავი	NVM-711	**8500** ლარი

Renault Dokker

ძრავი	1.5 დიზელი
სიმძლავრე	ც.ძ 85
კოლოფი	5 სიჩქარიანი მექანიკა
წვა	4.9
ფასი	12 900 ევრო

კომპლექტაცია

- 5 სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი
- კონდინცირების და გათბობისსისტემა
- ჰაერის ცირკულაცია სალონში
- CD/MP3 PLAYER + BLUETOOTH +USB საჭიდან მართვადი
- დეფლექტორები უკანა მგზავრებისთვის
- ფოლადის დისკები **R15**
- ტონირებულიშუშები
- სანისლემაშუქები
- მძღოლის და მგზავრის აირბაგი+ წინა გვერდითი აირბაგი
- უკანაშუშისსაწმენდი + თბობადიუკანაშუშა
- უკანა სავარძელი 1/3 -2/3 კეცვადი ფორმატით
- მძღოლისსავარძლისა და საჭისსიმაღლეშირეგულირება
- უკანა შუშიანი კარის 180•-იანი გაღება
- ჰალოგენურიფარები
- ჰაერის ცირკულაცია სალონში
- საჭისჰიდროგამაძლიერებელი
- გარეთა სარკეებიელ. რეგულირებით, თბობადი
- ნაჭრის სალონი
- ABS + BA
- 3 წერტილოვანი უსაფრთხოების ღვედები ყველა მგზავრისთვის
- სრული ზომის სათადარიგო საბურავი
- იმობილაიზერი
- ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით
- ცუდი გზების და ცივი კლიმატის პაკეტი
- წინა ელექტროშუშები

გარანტია 5 წელი ან 150 000 კილომეტრი

სპეციალური ღირებულება განბაჟებით და გაფორმებით: 12 900 ევროს ექვივალენტი ლარში

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

5003033816

10/06/2016

№

201 6.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

5003033816

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ
საერთო სასამართლოების დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გიორგი
კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2016 წლის 1 ივნისის რეგისტრაციის N1004164516) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N003326016 დასკვნას.
დანართი:
ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

2582 10.06.16

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave. Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600, Georgia
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145
145 Pushkini str. Batumi, Georgia

WWW.EXPERTIZA.GOV.GE
(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 431) 21 30 0
info@forensics.ge
(995 422) 27 09 9
info@forensics.ge

003326016

ექსპერტის დასკვნა № 003326016

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქვესტრუქტურა: სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

თანამდებობა: თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი:

სახელი და გვარი: გიორგი კაკაურიძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

დავით ამაშუკელი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, სპეციალობით მუშაობის 11 წლის სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის NGEO-268-20432279 ISO/IEC 17024 შესაბამისობის სერტიფიკატი P-0034 და A-0025

ირაკლი კვერნაძე / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლამდე სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის №GAC-PC-0002 ISO/IEC 17024:2010

გიორგი გიორგობიანი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 1 წლამდე სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაჩქარებული წესით დაგვიდგინოთ „HYUNDAI SANTAFE"-ის სახ. ნომერი NVM-711 ის საბაზრო ღირებულება.

გასვლის თარიღი: 10.06.2016წ

შემოსვლის თარიღი: 01.06.2016წ.

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი 2008 წელს დამზადებული, მაღალი გამავლობის „HYUNDAI SANTAFE"-ის სახ. ნომერი NVM-711, საიდენტიფიკაციო ნომერი KMHSH81WP9U421912, საბაზრო ღირებულება, დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 8 500 (რვაათას ხუთასი) ლარით.

დავით ამაშუკელი

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილია სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტომობილი. ექსპერტიზის წინაშე დასმულია კითხვა ავტომობილის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ავტომობილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა ვიზუალური და ტექნიკური მდგომარეობა, გარბენი, მისი დამზადების წელი, ექსპლუატაციის ხანგრძლივობა, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები. ასევე სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი და სხვა ტექნიკური პარამეტრი, რომელიც საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას ფასის ჩამოყალიბებაზე ახდენს გარკვეულ კორექტირებას. შეფასებისას გათვალისწინებულია, შესაფასებელი სატრანსპორტო საშუალების იდენტური ან ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი, სატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება.

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება სამი მეთოდი: შედარების, დანახარჯებისა და შემოსავლების, რაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამიტომ ხშირ შემთხვევაში გამოიყენება შეფასების ერთი ან ორი მეთოდი. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ობიექტის შესაფასებლად, ექსპერტის მიერ გამოყენებულ იქნა შედარების მეთოდი. შედარების მეთოდის გამოყენებისას, საბაზრო ღირებულების შესახებ მოსაზრება ყალიბდება შესაფასებელი ქონების შედარებით ისეთ მსგავს ქონების ობიექტებთან, რომლებიც იქნენ გაყიდული ან გამზადებულია გასაყიდად (შეთავაზებულია გასაყიდად). ამ მიდგომის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ქონების საბაზრო ღირებულება ყალიბდება შესადარებელი ქონების (ანალოგების) გაყიდვის ან შეთავაზების ფასებთან.

ამრიგად, შედარების მეთოდის პრინციპია – ღირებულების განსაზღვრა ანალოგიური ობიექტების ფასების ანალიზის საფუძველზე.

ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის, გადაწყვეტის მიზნით ჩატარდა კვლევა მსგავსი ავტომობილების სარეალიზაციო ფასების დასადგენად. საქონლის საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. ქონების ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი გამყიდველისთვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია ანალოგიური ქონების ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპიურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან.

გათვალისწინებულია ექსპერტიზის დამნიშნავი მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ავტომობილის ექსპლუატაციის, შენახვისა და მისი ტექნიკური მომსახურების შესახებ, ასევე გამოყენებულია ექსპერტის ხელთ არსებული და მოპოვებული ინფორმაცია მსგავსი ავტომობილის დღევანდელი საბაზრო ღირებულების შესახებ.

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილია 2008 წელს დამზადებული, მაღალი გამავლობის „HYUNDAI SANTAFE" სახ. ნომერი NVM-711, საიდენტიფიკაციო ნომერი KMHSH81WP9U421912, ავტომობილი აღჭურვილია ავტომატური გადაცემათა კოლოფითა და 2200 სმ³ დიზელის ძრავით, გარბენი 301 552 კმ. ავტომობილის ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ძარის გარე პერიმეტრზე აღენიშნება ექსპლუატაციის პირობებში განვითარებული მექანიკური დაზიანების კვალი, ლაქ-საღებავის აცლის და ნაკაწრების სახით. ძარის წინა მარცხენა ნაწილზე და წინა ბამპერზე აღენიშნება წარსულში ჩატარებული სამღებრო სამუშაოების კვლები. დაზიანებულია: წინა საქარე მინა, უკანა მარცხენა მაშუქი, სავარძლების მოპირკეთება. წინა ბამპერზე და მარჯვენა უკანა ხედვის სარკის ხუფზე აღენიშნება ლაქ-საღებავის აშრევების კვლები. ძარის პერიმეტრი ნაკაწრებშია. დამკვეთის მიერ მოწოდებული დეფექტური აქტის მიხედვით, ავტომობილის ძრავი საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

ყოველივე ზ/აღნიშნულის, ასევე ავტომობილის დამზადების წლის, მისი ექსპლუატაციაში ყოფნის ხანგრძლივობის, გარბენის, მსგავსი, ტექნიკურად გამართული ავტომობილების დღევანდელი საბაზრო ფასების გათვალისწინებითა და კორექტირებით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი 2008 წელს დამზადებული, მაღალი გამავლობის „HYUNDAI SANTAFE"-ის სახ. ნომერი NVM-711, საიდენტიფიკაციო ნომერი KMHSH81WP9U421912, საბაზრო ღირებულება, დღევანდელი დღის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 8 500 (რვაათას ხუთასი) ლარით.

003326016

ექსპერტის დასკვნა № 003326016

დავით ამაშუკელი

ირაკლი კვერნაძე

გიორგი გიორგობიანი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

003326016

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4

ფოტო 5



ფოტო 6

ფოტო 7

ფოტო 8

ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12